საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის №65-ში სასწყობე მეურნეობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შ.პ.ს. „პატრიოტი 2006“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის აგვისტოში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის №65-ში, სასწყობე მეურნეობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის №65-ში სასწყობე მეურნეობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი მ. ყიფშიძე. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია განსაზღვრული გრუნტების თვისებები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე------ 8გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. მიწერილობა ---------- 1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე. ---------- 2გვ.
5. ქანების გრანულომეტრული შედგენილობა ---------- 2გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 2ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 4ფურც

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 1 სართულიანი, ორი სასწყობე შენობა. კონსტრუქციულად შენობები გადაწყვეტილია რკინაბეტონის ჩარჩოში, შევსება იქნება მსუბუქი კონსტრუქციებით. რაც შეეხება სამრკალის კონსტრუქციასა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება შენობის მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი გზებით გაყვანილი იქნა 7

ჭაბურღილი. აქედან სამი ერთ ნაკვეთზე და 4 ჭაბურღილი მეორე ნაკვეთზე აღნიშნული ნაკვეთები ერთმანეთისაგან დაშორებულია 60 მეტრით ჭაბურღილების საერთო სიგრძე 55 მეტრს შეადგენს. ჭაბურღილებიდან აღებულ იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – თიხა მოყვითალო ძლიერ კარბონატული
3. ფენა – 3 – კენჭნარი ქვიშარის შემავსებლით
4. ფენა – 4 – ძირითადი ქანი, ფიქლებრივი თიხები ქვიშაქვის შუაშრეებით

ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების დახასიათება და მათი თვისებათა მაჩვენებლები, გამოკვლეული ლაბორატორიული მეთოდით. მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორი იძლევა თავის წინადადებებს ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე, რასაც ვეთანხმებით.

მოხსენის პიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის №65-ში, სასაწყობე შენობა-ნაგებობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით არის გათვალისწინებული. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ჩატარებულ სამუშაოებზე ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილ ანგარიშს ეძლევა დადებითი შეფასება და იგი შეიძლება დაედოს შენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /ვ. ქობულაძე/

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1972 წელს დაამთავრა ხსენებული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. „30" ივნისის გადაწყვეტილებით

გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

СЕРИЯ № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 23 ноября 1979 г. (протокол №)

присвоено ученое звание

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

CV - ჭიბონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭიბონელიძე გუგა ილიას ძე
ხიბის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ხიბა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ საშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფია „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს იწგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გავეცნობილი მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობას დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „ნიადაგა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით